

# ნატო გაბუნია-ცაგარელი

ნატო გაბუნია-ცაგარელი, 1852 წლის 26 თებერვალს ქ. გორში დაიბადა. 12 წლის იყო, როცა მამამ სასწავლებლად ხრუშჩოვების სკოლაში მიაბარა, სადაც მხოლოდ სამი თვე დაჰყო. სცენაზე პირველად 16 წლის ასაკში გამოვიდა. 1975 წელს, სცენისმოყვარეთა მიერ დადგმული გ. ერისთავის კომედიაში „ძუნწი“, მონაწილედისა განასახიერა. მისმა ნიჭიერმა თამაშმა, დრამატურგ დავით ერისთავის ყურადღება მიიპყრო და მისივე თხოვნით, 1876 წელს მონაწილეობა მიიღო თბილისში გამართულ სცენისმოყვარეთა წარმოდგენაში, სადაც თავისი თამაშითა და სიმღერით მოხიბლა მაყურებელი.

ნატო გაბუნია იმ გამოჩენილ მსახიობებს მიეკუთვნება, რომლებმაც 1879 წელს ქართული პროფესიული თეატრი ალაღგინეს, სადაც მოღვაწეობდნენ: ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, მაკო საფაროვა-აბაშიძისა და სხვები. ცარიზმის მუდმივი დევნის გამო, ქართული თეატრი მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა და მსახიობის მდგომარეობა, არც თუ ისე სახარბიელო იყო. ამიტომ თეატრი მსახიობებისგან დიდ სიყვარულსა და თავდადებას მოითხოვდა.

ნატო გაბუნიამ თეატრის პირველივე წარმოდგენაში, „რას ვეძებდით და რა ვპოვეთ“ და „იჭვიანში“ მიიღო მონაწილეობა და მაყურებელიც ალაფრთოვანა. გაზეთ „დროების“ (1879, 4. 09. 182) კორესპოდენტი წერდა: „არ მინახავს, რომ ვინმეს მაჭანკლის როლი ნ. გაბუნიას ქალზე უკეთ უფრო არტისტულად აესრულებინოს და უფრო ნათლად წარმოედგინოს.“ მსახიობი თავისი მეტყველებით, ხმის ინტონაციით და სამსახიობო ოსტატობით, ეპიზოდურ როლებსაც საინტერესოსა და მაყურებლისთვის დასამახსოვრებელს ხდიდა. შემდგომ სპექტაკლებში „საძაგელი“ და „ჯერ დაიხოცნენ, შემდეგ იქორწინეს“ მოხუც ქალთა სახეების შექმნისთვის პრესა მას ქართული თეატრის ძვირფას შენაძენად თვლიდა. პირველივე სპექტაკლების შემდეგ, ნ. გაბუნია საზოგადოების საყვარელ მსახიობად იქცა. მისი შესრულება გამოირჩეოდა უშაუალოებითა და ბუნებრიობით, პლასტიკით, მუსიკალურობით, რაც მის შემოქმედებას ეროვნულ კოლორიტს მატებდა. ამიტომაც, მსახიობის მონაცემების გათვალისწინებით სპეციალურად დაწერა ი. ჭავჭავაძემ „მაჭანკალი“, ავტ. ცაგარელმა „ხანუმა“, აკ. წერეთელმა „კინტო“, რომელიც 1880 წ. მის საბენეფისოდ დაიდგა და მსახიობის მთელი შესაძლებლობები წარმოაჩინა. მისი ხანუმა მოხერხებული, თავხედურად გაბედული, ცბიერი და მატყუარა მაჭანკალი იყო, რომლსაც ყოველგვარი პრობლემის მოგვარება შეეძლო. მისი ზომიერი სიცილი, იუმორი და მოძრაობა, ქალაქური ჟარგონით მეტყველება გმირს განუმეორებელ ელფერს მატებდა. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ხანუმას აკოფასთან ლეკურის ცეკვა ახდენდა, როდესაც გამარჯვებული მაჭანკალი თავის პიროვნულ ღირსებას თავმომწონედ წარმოაჩენდა.

სრულიად კონტრასტული იყო ფროშარის სახე სპექტაკლში „ორი ობოლი“. მხატვრულად სუსტ პიესაში მსახიობი ქუჩის მანანწალას რეალისტურ პორტრეტს ქმნიდა მასში საცოდაობასა და უმწეობასთან ერთად, დაუნდობლობა გამოსჭვიოდა. მსახიობი განსაკუთრებულ ყურადღებას გმირის სცენურ სახეს – გრიმსა და კოსტუმს აქცევდა და შინაგანი სამყაროს ჩვენებასთან ერთად, ფროშარის ხასიათი მაყურებლისთვის გასაგები ხდებოდა. ამიტომაც მის უსულგულო დამოკიდებულებას ლუიზასადმი და მონყალებისთვის სიმღერის იძულებას, დარბაზში სათანადო უარყოფითი შეფასება მოჰყვებოდა.

მსახიობის საშემსრულებლო დიაპაზონს, კომიკური და დრამატული როლების მაღალმხატვრულ შესრულებას აღნიშნავდა გაზეთი „დროება“ (1879, 24. 10), როდესაც გ. სუნდუკიანის „პეპოში“ შუშანას როლის შესახებ წერდა: „გაბუნიას ქალი ამისთანა დრამატიულ როლში პირველად გამოვიდა სცენაზე. და ამ თამაშით დაგვიმტკიცა, რომ ამ როლითაც ისე ხელოვნურად, ნიჭიერად აღსრულება შესაძლებია, როგორც ის ასრულებს ხოლმე ყოველთვის კომიკურ მოხუცებულ ქალების როლებსა“.

ნატო გაბუნია-ცაგარელს ჰქონდა შესანიშნავი ხმა, მღეროდა კუპლეტებს, სისტემატიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ შეკრებებსა და საქველმოქმედო საღამოებში,

სადაც კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“, დაირაზე დაკვრასთან ერთად, საუკეთესოდ ასრულებდა ბაიათებსა და მუხამბაზებს, რითაც საზოგადოებაში დიდ სიყვარულს იმსახურებდა. ცნობილია, რომ ავადმყოფ გრიგოლ ორბელიანს ნატოს სიმღერის მოსმენა მოუსურვებია და მსახიობი მასთან ი. ჭავჭავაძეს, ივ. მაჩაბელსა და ი. მეუნარგიას მიუყვანია. სიმღერის გარდა, ნატომ პოეტის ლექსიც წაიკითხა, რითაც გრ. ორბელიანი ნასიამოვნები დარჩა. იგი ხშირად დამოდიოდა ქუთაისის, ბათუმის, გორის და სოფლის მაცურებელთა წინაშე. განსაკუთრებული ოსტატობით, ხნიერი ქალების როლებს თამაშობდა. 1895 წლიდან სისტემატურად მონაწილეობდა ავჭალის აუდიტორიის წარმოდგენებში და ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მისი როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ხამფერი (გ. სუნდუკიანის „ხათაბალა“), თალალა, ოროსმე, ქალია (ავქ. ცაგარელის „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“, „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, „ციმბირელი“), გლეხის დედაკაცი (დ. ერისთავის „სამშობლო“) და სხვა. სულ მცირე დროში მოიხვეჭა ნატო გაბუნია-ცაგარელმა მაცურებლის უდიდესი სიყვარული და აღიარება.

ნატო გაბუნია საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც გამოირჩეოდა. აგროვებდა და აქვეყნებდა ხალხური პოეზიის ნიმუშებს, აქტიურად მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. დაწერა ნაწარმოები „სცენები სოფლის ცხოვრებიდან“ და 3 მოქმედებიანი კომედია „დედაკაცის ბრალია“, რომელიც სახაზინო თეატრში, მისსავე საბენეფისოდ, 1907 წლის 15 თებერვალს დაიდგა. 1909 წლის 29 ნოემბერს ქართული თეატრის შენობაში გამართული ნატო გაბუნიას იუბილუ სახალხო ზეიმად იქცა, რომელსაც საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული თაყვანისმცემლები დაესწრნენ და მსახიობს სიტყვით 38 გამომსვლელმა მიმართა. ამას გარდა, საიუბილეო საღამოები ქუთაისში, ჭიათურასა და გორში გაიმართა.

ქართულ სცენაზე ნატო გაბუნიას 30 წლიანი მოღვაწეობის მანძილზე, მისი შემოქმედებისადმი ხალხის სიყვარული და ინტერესი არ შენელებულა. ნატოს ხალასმა ნიჭმა მოხიბლა ცნობილი რუსი დრამატურგი ალექსანდრე ოსტროვსკი, სახელგანთქმული იტალიელი მსახიობი ერნესტო როსსი და სხვები. 1884 წელს, ა. ოსტროვსკი საქართველოში ჩამოვიდა. მის პიესაში „შემოსავლიანი ადგილი“ კუკუშკინას როლში ნატო გაბუნიას ნახვის შემდეგ, მოხიბლულმა ავტორმა მსახიობს ხელზე აკოცა და უთხრა: „კავკასიაში მოსვლას კი ვფიქრობდი, მაგრამ ამას კი ვერ მოვიფიქრებდი, თუ ჩემს პიესას ქართულ ენაზე ნათამაშევს ვნახავდი და ამისთანა ახალგაზრდა მსახიობი-ქალი, ასე კარგად დამიხატავდა კუკუშკინას ტიპს.“ 1890 წელს, ქართველმა საზოგადოებამ თბილისში ჩამოსულ ერნესტო როსსის წარმოდგენა გაუმართა. დრამატული საზოგადოების გვირგვინი მას ნატო გაბუნია სცენაზე გადასცა. ე. როსსიმ ნატო გადააკოცნა და მადლობა გადაუხადა. მოგვიანებით კი საჩუქრად თავისი სურათი ავტოგრაფით და სერვიზი გადასცადა.

ნატო გაბუნია-ცაგარელი თავის ავტობიოგრაფიაში წერს: „ბევრი რამ კარგი და თანაც მწარე გამომივლია სცენაზედ. ჩემთვის ყველაფერს თეატრი შეადგენდა, ეხლაც ესეა... შეიძლება მე სცენისთვის ჩალადაც აღარ ვლირდე, მაგრამ იგი ჩემთვის ყველაფერია ჩემი ოჯახი, ჩემი ასიკო, ჩემი სალოცავი, ჩემი სულის დგმა და სხვა და სხვა... ხსოვნა არ მლატობს, მაგრამ წარსულის მოგონებას ძალღონე ნდომებია და მხოლოდ ეხლა ვეთანხმები დიდებულ რუსთაველს „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა“...

1910 წლის (16) 29 აგვისტოს ნატო გაბუნია-ცაგარელი გარდაიცვალა. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

## ნატო გაბუნია-ცაგარელის პირადი საარქივო ფონდის კატალოგი

### ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ნატო გაბუნია-ცაგარელის ავტობიოგრაფია.

1909 წ. 29 თებერვალი. ნაბეჭდი. 7 გვ.

2. ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს დადგენილება ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობისადამი. თავადაზნაურთა წინამძღოლს დავით გურამიშვილს დაევალოს საკრებულოს სახელით ნატო გაბუნია-ცაგარელისთვის მისალოცი ადრესის გადაცემა.

1909 წ. 24 ნოემბერი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

3. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის დადგენილება, ნატო გაბუნია-ცაგარელის 30 წლის სასცენო მოღვაწეობისა და მისი სახელობის დღესთან დაკავშირებით.

პირი: ა. ჯაბადარი, პ. გოთუა, ნ. ერისთავი, ი. გომართელი და სხვ.

1909 წ. 29 ნოემბერი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

4. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის დადგენილება. ნატო გაბუნია-ცაგარელის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე აღნიშნონ ქართველ თავადაზნაურთა თეატრში 1909 წლის 29 ნოემბერს.

პირი: ა. ჯაბადარი, პ. გოთუა, ნ. ერისთავი, კ. მაყაშვილი, კნენია ე. ჯამბაკურ -ორბელიანი, ა. სარაჯიშვილი, კ. მესხი, ე. ჩერქეზიშვილი და სხვ.

1909 წ. 29 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კნენია ელ. ორბელიანისა და ა. ღვალაძე. რუსულ და ქართულ ენებზე. 2 გვ.

5. ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს სხდომის ოქმი. ნატო გაბუნია-ცაგარელის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის საიუბილეო საღამოსთვის თანხის შეგროვების შესახებ.

პირი: თუმანოვი, გურამოვი, საგინოვი, ტულაევი, ტერიევი და სხვ.

1909 წ. ნოემბერი. ასლი დამონმებული დედანთან. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

6. იოსებ იმედაშვილის განცხადება გუგული ბუხნიკაშვილისადმი, ნატო გაბუნია-ცაგარელის საფლავზე დადგმული ძეგლის მდგომარეობის შესახებ.

1950 წ. 30 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

7. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დირექტორის ა. იოვადის წერილი თეატრალური მუზეუმის დირექტორ გუგული ბუხნიკაშვილისადმი. ნატო გაბუნია-ცაგარელის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის ამსახველი მასალების გადმოცემის შესახებ.

1964 წ. 31 მარტი. ნაბეჭდი. ბლანკიანი ფურცელი. ხელს აწერენ: ა. იოვადე, ლ. მელქისეთბეგი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

8. ნატო გაბუნია-ცაგარელის ავტობიოგრაფია.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 7 გვ.

9. ნატო გაბუნია-ცაგარელის როლი პიესა „ხათაბალადან“.

უთარილო. ხელნაწერი. შავი მელანი. 14 გვ.

### ლექსები და მილოცვები ნატო გაბუნიასადმი

10. პირველი გიმნაზიელების მისალოცი ლექსი ნატო გაბუნიასადმი.

1903 წ. 23 იანვარი. ნაბეჭდი. 2 გვ.

11. ტფილისის არტიტული საზოგადოებისგან მიძღვნილი მხატვრულად გაფორმებული ადრესი ნატო გაბუნია-ცაგარელისადმი, სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1909 წ. 29 ნოემბერი. ხელნაწერი. ბლანკიანი ფურცელი. ახლავს ავტოგრაფები: ა. მილოვი, არტ. კალანტაროვი, ა. გუკასოვი, კონ. ფითოევი, გ. ყორღანოვი, გ. არარატსკი. შავი

მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

12. დუშეთის თავადაზნაურობის წინამძღოლის დავით გურამიშვილის მისალოცი სიტყვა ნატო გაბუნია-ცაგარელისადმი, სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით

1909 წ. 29 ნოემბერი. ასლი. ნაბეჭდი. 1 გვ.

13. სახალხო თეატრის მსახიობების მისალოცი სიტყვა ნატო გაბუნია-ცაგარელისადმი, მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

14. სახალხო სახლის სომხური სცენისმოყვარეთა სექციის მისალოცი სიტყვა ნატო გაბუნია-ცაგარელისადმი, სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ძლიერ დაზიანებული. 2 ეგზ. 4 გვ.

15. ქუთაისის თეატრის დასის მისალოცი სიტყვა ნატო გაბუნია-ცაგარელისადმი, სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

პირი: ნინო ჩხეიძე, ელ. ანდრონიკაშვილი, შალვა დადიანი, ალ. იმედაშვილი და სხვა.  
უთარილო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ახლავს ავტოგრაფები. შავი მელანი. 1 გვ.

16. საქ. სათეატრო საზოგადოებაში გამართული ნატო გაბუნია-ცაგარელის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს სტენოგრამა.

პირი: ალ. ბურთიკაშვილი, ი. იმედაშვილი, ნ. გოცირიძე, ს. მთვარაძე, ი. გრიშაშვილი, ი. მჭედლიშვილი, ნ. გვარაძე, დ. ჯანელიძე, შ. კილოსანიძე.  
უთარილო. ნაბეჭდი ხელს აწერს: თავმჯდომარე – გ. ბუხნიკაშვილი, მდივანი – ნ. კეკელიშვილი. 45 გვ.

17. უცნობი ავტორის ლექსად მიძღვნილი პასუხი ნატო გაბუნია-ცაგარელისადმი.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

## პროგრამები

18. ტფილისის სახაზინო თეატრში წარმოდგენილი ნატო გაბუნია-ცაგარელის საბენეფისო პროგრამა.

1905 წ. 13 იანვარი. დასტამბული. 3 გვ.

19. ტფილისის სახაზინო თეატრში წარმოდგენილი ნატო გაბუნია-ცაგარელის საბენეფისო პროგრამა.

1908 წ. 14 თებერვალი. დატამბული. 1 გვ.

## ავისტოლარული მიმკვიდრეობა

### წერილები ნატო გაბუნია-ცაგარელისადმი

20. ნადინკას პირადი ხასიათის წერილი ნ. გაბუნია-ცაგარელისადმი.

პირი: კოლა ტარსაიძე, თიკო, გუგულა.

1905 წ. 3 ივლისი. ხელნაწერი. შავი მელანი. დაზიანებული. 1 გვ.

21. ლადო გვახარიათ წერილი ნატო გაბუნია-ცაგარელისადმი. სთხოვს „ქაბატოს“ როლის შემსრულებლის მოძებნას სპექტაკლ „ხანუმასთვის“.

1910 წ. 23 იანვარი. განჯა. ხელნაწერი. შავი მელანი. 3 გვ.

## სხვადასხვა

22. ია ქაბზინაძის ნაშრომი ნატო გაბუნია-ცაგარელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

1980 წ. მაისი. ხელნაწერი. 27 გვ.

23. ციალა ყიფიანის მოხსენება ალექსანდრე ბურთიკაშვილის წიგნის – „ნატო გაბუნია“-ს შესახებ.

უთარილო. ნაბეჭდი. ნ. კველიშვილის ხელმოწერით. 14 გვ.

24. ალექსანდრე ბურთიკაშვილის ჩანაწერები ნატო გაბუნია-ცაგარელის შემოქმედების შესახებ. განიხილავს მის მიერ შესრულებულ როლებს პიესებში: „ხანუმა“ – ხანუმა, „ხათაბალა“ – სამფერი, „ორი ობოლი“ – ფროშარი, „ქორ ოღლი“ – ქიჩქინე და სხვა.  
უთარილო. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ორი ეგზემპლარი. 11 გვ.

25. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წერილი გიორგისადმი (გვარი უცნობია) ნატო გაბუნია-ცაგარელის დღესასწაულზე მისი საპატიო სტუმრად მიწვევის შესახებ.

1909 წ. 28 ნომბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

26. საქ. თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლის მიერ წარმოქმნილი სიტყვა-თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართულ ნატო გაბუნია-ცაგარელისადმი მიძღვნილ ხსოვნის საღამოზე.

1948 წ. 20 თებერვალი. ხელნაწერი. ძლიერ დაზიანებული. 11 გვ.

27. ნატო გაბუნია-ცაგარელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი.

1949 წ. ნაბეჭდი. 3 გვ.

28. ქ. თბილისის აღმასკომის წარმომადგენლის ი. კ. ენიკოლოფოვის და სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის წარმომადგენლის ე. მ. ბერიაშვილის მიერ შედგენილი აქტი, ნ. გაბუნია-ცაგარელის, კ. მესხისა და ავქ. ცაგარელის საფლავების მდგომარეობის შესახებ.

1951 წ. 29 აპრილი. ნაბეჭდი. ი. ენიკოლოფოვის ხელმოწერით. 1 გვ.

29. გრ. ჩიკვაძის მოგონება თეატრალურ მუზეუმში დაცული ნატო გაბუნია-ცაგარელის გრამაფონის ფირფიტაზე ჩანერილი სიმღერების შესახებ.

1985 წ. 15 მარტი. ნაბეჭდი. 2 გვ. ავტოგრაფი. 3გვ. 2 ეგზ.

30. სხვადასხვა სახის ჩანაწერები ნატო გაბუნია-ცაგარელის შესახებ.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. დაზიანებული. 1 გვ.

31. ნატო გაბუნია-ცაგარელის საფლავის ქვის წარწერა.

უთარილო. 1 გვ.

32. ნატო გაბუნია-ცაგარელის პორტრეტი. მინანქრით. „ჩემს ასიკო ცაგარელს თავის მეუღლისგან“.

უთარილო. ფოტოპირი. 1 ც.

33. ია ქაბზინაძის მიერ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებიდან“ ამობეჭდილი ნატო გაბუნია-ცაგარელის წერილების ნუსხა.

უთარილო. ნაბეჭდი. 12 გვ.

34. უცნობი პირის მიერ პრესიდან ამოწერილი მასალები ნატო გაბუნია-ცაგარელის შესახებ. 1. ჟურნ „საქართველოს მოამბე“ 1909 წ. 5. ნატო გაბუნია-ცაგარელის ავტობიოგრაფია. 2. გაზ. „დროება“. 1879 წ. 182. 3. ჟურნ. „საქართველოს მოამბე“. 1909 წ. 5. 4. ვალერიან გუნია „ქართული თეატრი“. 1879-1899 წწ. 5. ჟურნ „საბჭოთა ხელოვნება“ 1938 წ. 5. 6. ჟურნ „თეატრი და ცხოვრება“. 1910 წ. 33.

უთარილო. ხელნაწერი. დაზიანებული. 40 გვ.

35. პრესიდან ამობეჭდილი სტატიები ნატო გაბუნია-ცაგარელზე. 1. გაზ „დროება“ 1879 წ. 6 სექტემბერი. 206. „ქართული წარმოდგენა სამ ოქტომბერს“. 3 გვ. 2. გაზ. „დროება“. 1879 წ. 23 მარტი. 64 „საქართველო“ – დღიური, თეატრი – „გეო მინას და კამპანია“. 4 გვ.

## არქივის აღწერა

36. ნატო გაბუნია-ცაგარელის პირადი არქივის ბიბლიოგრაფია.

უთარილო. ხელნაწერი. 12 გვ.